

ბრძანება

04 თებერვალი 2018 წ.

თბილისი

№ 777/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 12 თებერვლის №121 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 26 სექტემბრის №229 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს ისრაელის მოქალაქე- დი იაზან მუსსა.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2018 წლის 16 ნოემბრამდე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს და თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურას.
4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
5. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს მ/შ თ. კილასონიას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი